

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს  
კონკურსის „ახალი ქართული წიგნი“  
საკონკურსო დებულება

კონკურსი განხორციელდება „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ დამტკიცების  
შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის  
2019 წლის 31 დეკემბრის N2027 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული  
„კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ (პროგრამული კოდი: 32 09 02)

პრიორიტეტის „ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობა“ ფარგლებში

**მუხლი 1. კონკურსის მიზანი**

კონკურსის „ახალი ქართული წიგნი“ (შემდგომში-კონკურსი) მიზანია: ქვეყანაში საგამომცემლო სექტორის მხარდაჭერა, ლიტერატურული პროცესების განვითარება, ქართველი ავტორების პოპულარიზაცია და ახალი, ნიჭიერი ავტორების აღმოჩენა თანამედროვე ქართული მხატვრული ლიტერატურის ახალი გამოცემების, მათ შორის ელექტრონული წიგნის მომზადების ხელშეწყობის გზით.

**მუხლი 2. კონკურსის პირობები**

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს - გამომცემლებს / საგამომცემლო სახლებს (შემდგომში - კონკურსანტი), რომლებსაც აღნიშნულ სფეროში მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება აქვთ.

2. კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადით მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 5 000 ლარს და უნდა ითვალისწინებდეს წიგნის ბეჭდვის ხარჯებს, წიგნის ელექტრონულ ფორმატში მომზადებისთვის საპროექტო განაცხადით მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 3 000 ლარს.

3. კონკურსანტს აღნიშნულ კონკურსში შეუძლია არაუმეტეს 2 საპროექტო განაცხადის წარმოდგენა.

4. კონკურსანტის მიერ ერთზე მეტი საპროექტო განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში, საპროექტო განაცხადის ფორმა ივსება ცალ-ცალკე.

5. კონკურსის ფარგლებში დასაფინანსებელი მხატვრული ლიტერატურა ჟანრობრივად არ არის შეზღუდული.

6. კონკურსი არ ითვალისწინებს სასწავლო და სამეცნიერო ხასიათის გამოცემების ხელშეწყობას.

7. კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით კონკურსანტმა საპროექტო განაცხადი უნდა წარმოადგინოს მხოლოდ წიგნად გამოუცემელი ნაწარმოების/ნაწარმოებების შესახებ, ხოლო პოეტური კრებულის გამოცემის

თანადაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში, დასაშვებია ტექსტის ერთი მესამედი გამოქვეყნებული იყოს წინა გამოცემებში.

8. უპირატესობა შესაძლოა მიენიჭოს იმ საპროექტო განაცხადებით წარმოდგენილ პროექტებს (შემდგომში - პროექტი/პროექტები):

ა) რომლებიც ითვალისწინებენ სალიტერატურო სფეროში მოღვაწე ავტორთა საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით წიგნის/ების გამოცემას, მათი შემოქმედების წარმოჩენა-პოპულარიზაციის მიზნით.

ბ) რომელიც ითვალისწინებს საკითხისადმი ინოვაციურ მიდგომას (მათ შორის პროექტის დისტანციური საშუალებებით განხორციელების შესაძლებლობას, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას და სხვ.) და პასუხობს ახალი კორონა ვირუსის (COVID 19) პანდემიასთან დაკავშირებით საქართველოში და ზოგადად მსოფლიოში შექმნილ ვითარებასა და დადგენილ შეზღუდვებს.

9. კონკურსში წარმოდგენილი პროექტის დაწყების თარიღი განისაზღვრება 2020 წლის არაუადრეს 15 ივლისისა ხოლო დასრულების თარიღად არაუგვიანეს 2020 წლის 5 დეკემბრისა.

### **მუხლი 3. საკონკურსო პროექტების წარმოდგენის პირობები**

1. კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) **განცხადება** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის (შემდგომში-მინისტრი) სახელზე, „საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის სფეროში დამტკიცებული პროგრამის პრიორიტეტებით განსაზღვრული კონკურსის/ების ფარგლებში წარმოსადგენი დანართების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 19 თებერვლის N214 ბრძანებით (შემდგომში - მინისტრის ბრძანება) დამტკიცებული ფორმის (დანართი N1) შესაბამისად;

ბ) **საპროექტო განაცხადი** - მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის (დანართი N2) შესაბამისად, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

ბ.ა) გამოსაცემად/მათ შორის ელექტრონულის მომზადებული წიგნის ავტორის ან/და საავტორო და მომიჯნავე უფლებების მქონე პირის/პირების წერილობითი თანხმობა/ნებართვა წიგნის გამოცემაზე;

ბ.ბ) წიგნის ბეჭდვის/ელექტრონული ფორმატის მომზადების ნაწილში, პარტნიორების ფინანსური ან სხვა ტიპის თანამონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და თანამონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ.გ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან კონკურსანტის შესახებ და ბანკის მიერ გაცემული დოკუმენტი, ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტების შესახებ;

ბ.დ) გამოცემის ტექნიკური პარამეტრები და ბეჭდვის ხარჯები წარმოდგენილი სტამბიდან სრულყოფილი 3 ინვოისით (ბაზრის კვლევა), ხოლო ელექტრონული ვერსიის მომზადების შემთხვევაში დეტალური ხარჯთაღრიცხვა;

ბ.ე) გამოცემის მოკლე აღწერა (PDF დოკუმენტი);

ბ.ვ) დამწყები ავტორის შემთხვევაში ნაწარმოების/ნაწარმოებების, ან/და ლექსების კრებულის დასაწყისი: 15-20 გვერდი, Word დოკუმენტი, შრიფტი - Sylfaen, ზომა - 11, ხაზებს შორის დაშორება - სტანდარტული (Multiple);

ბ.ზ) ინფორმაცია საგამომცემლო ჯგუფის შესახებ CV-ის სახით.

2. კონკურსანტი უფლებამოსილია შეცვალოს წარმოდგენილი საპროექტო განაცხადი, ან/და დამატებით წარმოადგინოს დოკუმენტაცია, მხოლოდ კონკურსის ფარგლებში საპროექტო განაცხადების მიღების ვადის დასრულებამდე.

3. კონკურსში გამარჯვებული პროექტების განმახორციელებელ პირთან (შემდგომში - პროექტის განმახორციელებელი პირი) პროექტის განხორციელებამდე დაიდება ხელშეკრულება „პროექტის ფინანსური ხელშეწყობის შესახებ“.

4. პროექტის განხორციელების შემდეგ, პროექტის განმახორციელებელი პირი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) წარმოუდგენს შესრულების ანგარიშს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის (დანართი N4) შესაბამისად (ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციითა და ვიზუალური მასალით).

5. კონკურსის ფარგლებში გამოცემული ბეჭდური პროდუქციის 50 ეგზემპლარი გადმოეცემა სამინისტროს ადგილზე დასაწყობებით.

#### მუხლი 4. შერჩევის კრიტერიუმები

1. სამინისტროში რეგისტრირებულ საკონკურსო განაცხადებს განიხილავს და შეაფასებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით (შემდგომში - მინისტრი) დამტკიცებული საკონკურსო კომისია.

2. კონკურსის ფარგლებში მოწონებული პროექტების გამოვლენა საკონკურსო კომისიის მიერ ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე, **30 ქულის ფარგლებში**.

	შეფასების კრიტერიუმი
1.	პროექტის შესაბამისობა კონკურსის მიზნებთან
2.	პროექტის მოსალოდნელი შედეგები (მდგრადობა)
3.	ბიუჯეტის შესაბამისობა პროექტის მიზანთან მიმართებაში
4.	შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება
5.	პარტნიორების ფინანსური ან სხვა ტიპის თანამონაწილეობა

3. საკონკურსო განაცხადების განხილვისას, კომისია იხელმძღვანელებს ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობითა და როგორც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, ისე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებით.

4. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება პროექტს, რომელიც ამავე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი და მე-2 შეფასების კრიტერიუმების ქულობრივი შეფასებით დააგროვებს უფრო მაღალ ქულათა ჯამს.

5. კომისიის მიერ მოწონებულად მიიჩნევა ის კონკურსანტი, რომლის მიერ წარმოდგენილი პროექტი დააგროვებს ქულათა მეტ რაოდენობას.

6. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება:

- ა) პროექტის მოწონების შესახებ;
- ბ) პროექტის ხელშეწყობაზე უარის თქმის შესახებ;
- გ) რეკომენდაცია პროექტის კორექტირების შესახებ;
- დ) მოწონებული პროექტის სრულად ან ნაწილობრივი დაფინანსების შესახებ.

7. საკონკურსო კომისიის მოთხოვნა, დამატებითი ინფორმაციის ან/და დაზუსტებული საპროექტო განაცხადის (მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად (დანართი N3)) წარმოდგენის თაობაზე, კომისიის მდივნის მიერ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის საშუალებით ეცნობება კონკურსანტს.

8. კონკურსანტი ვალდებულია დაზუსტების მიზნით, კომისიის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია ან/და დაზუსტებული საპროექტო განაცხადი (მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად (დანართი N3)) საკონკურსო კომისიას წარმოუდგინოს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 დღის ვადაში.

9. კონკურსანტის მიერ ინფორმაციის ან/და დაზუსტებული საპროექტო განაცხადის (მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად (დანართი N3)) წარმოდგენლობის, ან ხარვეზით, ან ვადის დარღვევით წარმოდგენის შემთხვევაში, კონკურსანტი მოიხსნება კონკურსიდან.

10. საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე მოწონებული პროექტების ნუსხა, დარგობრივი დეპარტამენტის ზედამხედველი მინისტრის მოადგილის მოხსენებითი ბარათით დასამტკიცებლად წარედგინება მინისტრს. მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მტკიცდება გამარჯვებული პროექტების ნუსხა, რის საფუძველზეც ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ მზადდება ბრძანება გამარჯვებული პროექტის/ების დაფინანსების შესახებ.

11. გამარჯვებული პროექტის/ების დაფინანსების შესახებ ბრძანების გამოცემის შემდეგ, პროექტების განმახორციელებელ ორგანიზაციებთან, პროექტის განხორციელებამდე ფორმდება „პროექტის ფინანსური ხელშეწყობის შესახებ“ ხელშეკრულება.

12. კონკურსის შედეგების ოფიციალურ გამოქვეყნებამდე, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა, საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და კონკურსის ფარგლებში სამინისტროში რეგისტრირებული დოკუმენტაცია არ საჯაროვდება.

## **მუხლი 5. ანგარიშსწორების წესი**

1. პროექტების განმახორციელებელ პირებთან, ანგარიშსწორება განხორციელდება პროექტის/ების დასრულების შემდეგ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის, ფორმატის, ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ ხარჯთაღრიცხვის (პუნქტებს შორის ცვლილება, თუ სხვა ფინანსურ ვალდებულება) და სხვა თემატური ცვლილების ან/და მისი მოშლის შესახებ, გადაწყვეტილებას იღებს სამინისტრო, პროექტის განმახორციელებელი პირის წინასწარი დასაბუთებული წერილობითი მომართვის საფუძველზე.

3. პროექტის დასრულების შემდგომ, კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია სამინისტროში წარმოადგინოს საბოლოო შესრულების ანგარიში მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის დანართი N4-ის შესაბამისად, ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, გამოცემული წიგნის 1 საპრეზენტაციო ეგზემპლართან ან CD დისკზე

დატანილი წიგნის სრულყოფილ ელექტრონულ ვერსიასთან ერთად წიგნის ყდის დიზაინის გათვალისწინებით.

### **მუხლი 6. კონკურსის ვადები**

1. კონკურსის ფარგლებში საპროექტო განაცხადებისა და სხვა საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება განხორციელდება:

ა) მატერიალური სახით: 2020 წლის 19 თებერვლიდან 2020 წლის 9 მარტის 15 საათამდე სამინისტროში (მის.: ქ. თბილისი უზნაძის ქ. N52 ან ქ. თბილისი სანაპიროს ქ. N4);

ბ) ელექტრონული ფორმით: 2020 წლის 17 მარტიდან 2020 წლის 22 მაისის 18 საათამდე, მისამართზე: [culturesupport@mes.gov.ge](mailto:culturesupport@mes.gov.ge).

გ) მატერიალური სახით: 2020 წლის 23 მაისიდან 2020 წლის 1 ივნისის 18 საათამდე სამინისტროში (მის.: ქ. თბილისი უზნაძის ქ. N52 ან ქ. თბილისი სანაპიროს ქ. N4).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია (განაცხადება და საპროექტო განაცხადი) წარმოდგენილი უნდა იქნეს უფლებამოსილი პირის ხელმოწერით (დასკანერებული ან ფოტო ფაილის სახით) და საკონკურსო დებულებით გათვალისწინებული ვადის დაცვით.

3. ინფორმაცია კონკურსში გამარჯვებული პროექტების შესახებ გასაჯაროვდება სამინისტროს ვებგვერდზე: [www.mes.gov.ge](http://www.mes.gov.ge) არაუგვიანეს 2020 წლის 7 ივლისისა.

4. კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი განაცხადის წარმოდგენასთან და კონკურსთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე:

ა) კონსულტაციები გაიმართება სამინისტროში, მისამართზე: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N4.:

ა.ა) 2020 წლის 21 თებერვლის 14:00 სთ-ზე;

ა.ბ) 2020 წლის 2 მარტს 14:00 სთ-ზე.

ბ) 2020 წლის 17 მარტიდან, 2020 წლის 22 მაისის 18 საათამდე დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ კითხვების არსებობის შემთხვევაში, კონსულტაციები მიიღონ ელექტრონულად, მისამართზე [culturesupport@mes.gov.ge](mailto:culturesupport@mes.gov.ge).

5. კონკურსის დასრულების შემდეგ, სამინისტროში მატერიალური სახით წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია, სამინისტროს მიერ კონკურსანტს უკან არ უბრუნდება.